სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 340.170.000.22.032.011.442

# საქართველოს სოფლის მეურნეობის

## მინისტრის ბრძანება №2-9

## 2008 წლის 18 იანვარი

## ქ. თბილისი

## ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალისა და ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ: .**

1. დამტკიცდეს ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალისა და ობიექტების თანდართული ნუსხა (დანართი №1).
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**პ. ცისკარიშვილი**

*დანართი №1*

## ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის, მასალისა და ობიექტების ნუსხა

| სეს ესნ კოდი | პოზიციის დასახელება |
|---|---|
| 1 | 2 |
| ჯგუფი 06. ცოცხალი ხეები და სხვა მცენარეები; ბოლქვები, ფესვები და მცენარის სხვა ანალოგიური ნაწილები; მოჭრილი ყვავილები და დეკორატიული ბალახი | |
| 0601 | ბოლქვები, ტუბერები, ტუბერისებრი ფესვები, ტუბერბოლქვები, ფესურები, განშტოებულის ჩათვლით, ვეგეტაციური სიმშვიდის, ვეგეტაციის ან ყვავილობის მდგომარეობაში; ვარდკაჭკაჭას მცენარეები და ფესვები, 1212 სასაქონლო პოზიციის ფესვების გარდა |
| 0602 | დანარჩენი ცოცხალი მცენარეები (მათი ფესვების ჩათვლით), კალმები და გადანაწვენები; სოკოს მიცელიუმი |
| 0603 | მოჭრილი ყვავილები და კოკრები, თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისათვის ვარგისი, ახალი, გამხმარი, შეღებილი, გათეთრებული, გაჟღენთილი ან სხვა ხერხით მომზადებული |
| 0604 | ფოთლები, ტოტები და მცენარეების სხვა ნაწილები უყვავილებოდ და უკვირტებოდ, ბალახები, ხავსი და ლიქენი თაიგულების შესადგენად ან დეკორატიული მიზნებისთვის ვარგისი, ახალი, გამხმარი, შეღებილი, გამოთეთრებული, გაჟღენთილი ან სხვა საშუალებით მომზადებული |
| ჯგუფი 07. ბოსტნეული და ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები | |
| 0701 | კარტოფილი ახალი ან გაცივებული <*> |
| 0702 00 000 00 | პომიდორი, ახალი ან გაცივებული <*> |
| 0703 | ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, პრასი, და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული <*> |
| 0704 | თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და *B rassica* გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული <*> |
| 0705 | სალათა – ღორის ქადა (*L actuca sativa*) და ვარდკაჭკაჭა (Cicorium spp.), ახალი ან გაცივებული <*> |
| 0706 | სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული <*> |
| 0707 00 | კიტრი და კორნიშონები, ახალი და გაცივებული <*> |
| 0708 | პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული <*> |
| 0709 | ბოსტნეული დანარჩენი, ახალი და გაცივებული <*> |
| 0712 | ბოსტნეული ხმელი, მთელი, დაჭრილი დიდ და პატარა ნაჭრებად, დაქუცმაცებული ან ფხვნილის სახით, მაგრამ შემდგომი დამუშავების გარეშე |
| 0713 | პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი |
| 0714-დან | მანიჰოტი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად |
| ჯგუფი 08. საჭმელი ხილი და კაკალი. ციტრუსოვანების ან ნესვების კულტურების ქერქი და კანი | |
| | კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე |

| | |
|---|---|
| 0802 | |
| 0803 00 | ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი |
| 0804 | ფინიკი, ლეღვი, ანანასი, ავოკადო, გუაიავა, მანგო და მანგოსტანი ანუ გარცინია, ახალი ან ხმელი |
| 0805 | ციტრუსები ახალი ან ხმელი |
| 0806 | ყურძენი, ახალი ან ხმელი |
| 0807 | ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი |
| 0808 | ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი |
| 0809 | გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოშო, ახალი |
| 0810 | ხილი დანარჩენი, ახალი |
| 0813 | ხილი ხმელი, 0801-0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლების ან ხმელი ნაყოფების ნარევები |
| ჯგუფი 09. ყავა, ჩაი, მატე ანუ პარაგვაიას ჩაი და სანელებლები | |
| 0901-დან | ყავა მოხალული ან მოუხალავი, ყავის ჩენჩო და ყავის მარცვლის გარსი |
| 0902 | ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე |
| 0903 00 000 00 | მატე, ანუ პარაგვაის ჩაი |
| 0904 - 0910 | სუნელ-სანელებლები |
| ჯგუფი 10. მარცვლოვანები | |
| 1001 | ხორბალი და მესლინი |
| 1002 00 000 00 | ჭვავი |
| 1003 00 | ქერი |
| 1004 00 000 00 | შვრია |
| 1005 | სიმინდი |
| 1006 | ბრინჯი |
| 1007 00 | სორგო მარცვლოვანი |
| 1008 | წიწიბურა, ფეტვი და თესლი ჩიტიფესვასი; დანარჩენი მარცვლეული |
| ჯგუფი 11. ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა | |
| 1101 00 110 00<br>1101 00 150 00 | ფქვილი ხორბლის |
| 1101 00 900 00 | ხორბალ-ჭვავის ფქვილი |
| 1102 | დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა |
| 1103 | ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები |
| 1104 | მარცვლოვანების მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად დაჩურჩული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანტელებად, დატეხილი, დაროშილი ან დამსხვრეული), გარდა 1006 სასაქონლო პოზიციის ბრინჯისა; მარცვლოვნების მარცვლის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანტელების სახით ან დაფქული |
| 1105-დან | კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები |
| 1106 10 000 00 | წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის |
| 1107-დან | ალაო მოუხალავი |
| 1108-დან | სახამებელი |
| ჯგუფი 12. ზეთოვანი თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები; ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი | |
| 1201 00 | სოიის ცერცვი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1202 | არაქისი, მოუხალავი ან რაიმე სხვა მეთოდით მოუმზადებელი, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1203 00 000 00 | კოპრი |
| 1204 00 | თესლი სელისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1205 | თესლი რაფსისა, ანუ კოლზისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1206 00 | თესლი მზესუმზირისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1207 | თესლი და ნაყოფები სხვა ზეთოვანი კულტურებისა, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1208 | ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი, ზეთოვანი კულტურების თესლებისაგან ან ნაყოფებისაგან, გარდა მდოგვის თესლისა |
| 1209 | თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად |
| 1210-დან | გირჩები სვიისა, ახალი ან ხმელი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი |
| 1211 | მცენარეები და მათი ნაწილები (თესლისა და ნაყოფების ჩათვლით), პარფიუმერული, ფარმაცევტული ან ინსექტიციციდური, ფუნგიციდური ან ანალოგიური მიზნებისათვის გამოსაყენებელი, ახლი ან გამხმარი, მთელი ან დაქუცმაცებული, დამსხვრეული ან დაფქული |
| 1212-დან | ვარდუხტის ხის ნაყოფი, ზღვის და დანარჩენი წყალმცენარეები, შაქრის ჭარხალი და შაქრის ლერწამი, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; ნაყოფის კურკები და მათი გულები, მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები (*Cichorium intybus sativum* სახეობის ვარდკაჭკაჭას მოუხალავი ფესვების ჩათვლით), უმთავრესად საკვებად |

| | |
|---|---|
| | გამოყენებული, სხვა ადგილას დაუსახელებული |
| 1213 00 000 00-დან | ჩალა და ბზე მარცვლეულისა, დაუმუშავებელი, დაქუცმაცებული ან დაუქუცმაცებელი, დაფქული ან დაუფქვავი, დაპრესილი |
| 1214-დან | თალგამურა, საფოთლე ჭარხალი (მანგოლდი), პირუტყვის საკვები ძირნაყოფები, თივა, იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, პირუტყვის საკვები კომბოსტო, ხანჭკოლა, ცერცველა და ანალოგიური საკვები პროდუქტები, არაგრანულირებული |
| **ჯგუფი 13. შელაქი ბუნებრივი, გასუფთავებული; გუმფისები ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები** | |
| 1301 | შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; გუმფისები ბუნებრივი, ფისები, გუმფისები და ძივთი (მაგალითად, ბალზამები) |
| **ჯგუფი 14. მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი** | |
| 1401 | მცენარეული წარმოშობის მასალები, ძირითადად საწნავად გამოსაყენებელი (მაგალითად ბამბუკი, როტანგი, ლერწამი, ჭილი, ტირიფი, რაფია, მარცვლეულების გასუფთავებული, გამოთეთრებული ან შეღებილი ჩალა და ცაცხვის ქერქი) |
| 1402 00 000 00 | მცენარეული წარმოშობის მასალები, ძირითადად დასატენად ან რბილ შუასადებად გამოსაყენებელი (მაგალითად, მატყლის ხე, მცენარეული ბოჭკოები, ზღვის ბალახი), მათ შორის ფენების სახით, ფუძეშრეზე ან მის გარეშე |
| 1403 00 000 00 | მცენარეული წარმოშობის მასალები, ძირითადად საჯაგრისე ნაწარმის და ცოცხების საწარმოებლად (მაგალითად, ცოცხის სორგო, პიასავა, მცოცავი ჭანგას ფესვები, ფამფარა (ისტლი), შეკვრებად, კონებად და დაყრით |
| 1404 | მცენარეული წარმოშობის მასალები, სხვა ადგილას დაუსახელებელი |
| **ჯგუფი 17. შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი** | |
| 1701 11<br>1701 12 | ლერწმის ან და ჭარხლის შაქარი |
| **ჯგუფი 18. კაკაო და პროდუქტები მისგან** | |
| 1801 00 000 00-დან | კაკაოს მარცვალი, მთელი, ნედლი |
| **ჯგუფი 19. მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი** | |
| 1903 00 000 00 | ტაპიოკა და მისი შემცვლელები, მომზადებული სახამებლისაგან, ფანტელების, გრანულების, ბურთულაკების, ნამცეცების სახით ან სხვა ანალოგიური სახით |
| **ჯგუფი 23. კვების მრეწველობის ნარჩენები; ცხოველთა მზა საკვები ცხოველებისათვის** | |
| 2302 | ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული პურეული მარცვლოვანების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით გადამუშავების შედეგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული |
| 2304 00 000 00<br>2305 00 000 00<br>2306 | კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები მიღებული მცენარეული სოიოს ზეთის ამოღებისას, დაფქული და დაუფქველი, არაგრანულირებული ან გრანულირებული |
| 2308 00 | მცენარეული წარმოშობის პროდუქტები და მცენარეული ნარჩენები და თანაპროდუქტები, არაგრანულირებული ან გრანულირებული, ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი |
| **ჯგუფი 24. თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები** | |
| 2401 | თამბაქოს ნედლეული; თამბაქოს ნარჩენები |
| **ჯგუფი 27. მინერალური საწვავი, ნავთობი და მათი გამოხდის პროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; მინერალური ცვილები** | |
| 2703 00 000 00 | ტორფი (ტორფის ნაფხვენის ჩათვლით), აგლომერირებული ან არააგლომერირებული |
| **ჯგუფი 31. სასუქები** | |
| 3101 00 000 00-დან | სასუქები ცხოველური ან მცენარეული წარმოშობისა, შერეული ან შეურეველი, სასუქები მიღებული მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შერევით |
| **ჯგუფი 41. დაუმუშავებელი ტყავები (ნატურალური ბეწვის გარდა) და გამოქნილი ტყავი** | |
| 4101 - 4103 | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (კამეჩების ჩათვლით) ან ცხენების ოჯახის ცხოველების, ცხვრის ან ბატკნის და სხვა ცხოველების დაუმუშავებელი ტყავები, (ახალგატყავებული ან მარილიანი, გამომშრალი, ნაცრიანი, პიკელებული ან სხვა მეთოდით დაკონსერვებული, მაგრამ დაუთრიმლავი, პერგამენტის სახით გამოუყვანელი ან შემდგომი დამუშავების გარეშე) ბეწვის საფარით ან ბეწვის საფარის გარეშე, სპილოკი ან არასპილოკი, მოცემული ჯგუფის 1ბ ან 1გ შენიშვნით გამორიცხულების გარდა |
| **ჯგუფი 44. მერქანი და მისი ნაწარმი; ხის ნახშირი** | |
| 4401 | ნაფოტი ან ბურბუშელა; ნახერხი და ხის ნარჩენები |
| 4403 | ხეტყის მასალა დაუმუშავებელი, ქერქიანი ან უქერქო, სახელდახელო დამელვით ან დამელვის გარეშე |
| 4404 | მერქნიანი საკასრე; მორები დაპობილი; ხის ხიმინჯები და სარები და ბოძები, წაწვეტებული, მაგრამ სიგრძივ დაუხერხავი; ხეტყის მასალა ტლანქად გათლილი, მაგრამ გაუჩარხავი, გაუღუნავი ან სხვა წესით დაუმუშავებელი, გამოსაყენებელი ხელჯოხების, ქოლგების, ინსტრუმენტების სახელურების ან ანალოგიური ნაწარმის დასამზადებლად; მერქანი ქერქგაცლილი და ანალოგიური |
| 4406 10 000 00 | ხის შპალები რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის, გაუჟღენთავი |
| 4407 | ხე-ტყის მასალა გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად დაპობილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით 6 მმ-ზე მეტი |

| | |
|---|---|
| 4408 | მოსაპერკეთებელი ფურცლები (შრეული მერქნის დაყოფით მიღებულის ჩათვლით), შეწებებული ფანერისათვის ან სხვა ანალოგიური შრეული მერქნისათვის და სხვა ხის მასალა, გასწვრივ დახერხილი, ნაწილებად დაჭრილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე, სისქით არა უმეტესი 6 მმ-სა |
| 4409 | დახერხილი ხეტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუწყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ღარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდეებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური), ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე |
| 4415 | ყუთები, კოლოფები, შესაფუთი კალათები, გოდრები და ანალოგიური ტარა მერქნისაგან; ხის საკაბელო ბარაბნები; ქვეშები, ქვეშები ბორტებით და ხის სხვა ჩასატვირთი ფარები; ხის კარბები |
| 4416 00 000 00 | კასრები, ხელკასრები, როფები, გეჯები და სხვა საკასრე ნაწარმი და მათი ნაწილები მერქნისაგან, ტკეჩის ჩათვლით |
| 4418-დან (4418 30, 4418 90 100 0-ს გარდა) | ნაწარმი სადურგლო და სახურო ხის, უჯრედოვანი ხის პანელების, სოლყავრის და სახურავის ყავრის ჩათვლით (აწყობილი ფილა-პარკეტის, წებოვანშრიანი ხეტყის მასალის გარდა) |
| **ჯგუფი 45. კორპი და მისი ნაწარმი** | |
| 4501-დან | ნატურალური კორპი დაუმუშავებელი |
| **ჯგუფი 46. ჩალის, ალფის და სხვა დასაწნავი მასალების ნაწარმი; კალათები და მოწნული ნაწარმი** | |
| 4601, 4602-დან | წნულები და ანალოგიური ნაკეთობები დასაწნავი მასალისაგან |
| **ჯგუფი 47. მასა მერქნისა ან სხვა ბოჭკოვანი ცელულოზის მასალისაგან; რეგენერირებული ქაღალდი და მუყაო (მაკულატურა და ნარჩენები)** | |
| 4701 00 | მერქნის მასა |
| **ჯგუფი 48. ქაღალდი და მუყაო: ნაწარმი ქაღალდის მასის, ქაღალდისა ან მუყაოსაგან** | |
| 4808 10 000 00 | ქაღალდი და მუყაო გოფრირებული, პერფორირებული ან არაპერფორირებული |
| 4819 10 000 00 | დიდი ზომის მუყაოს ყუთები, კოლოფები და ყუთები გოფრირებული ქაღალდისაგან ან გოფრირებული მუყაოსაგან |
| **ჯგუფი 50. აბრეშუმი** | |
| 5001 00 000 00 | აბრეშუმხვევიას პარკი, ამოსახვევად ვარგისი |
| 5003 | აბრეშუმის ნარჩენები (ამოსახვევად უვარგისი პარკის, პარკის მაფის ნარჩენებისა და გაფხვიერებული გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით) |
| **ჯგუფი 51. მატყლი, ცხოველების წმინდა და უხეში ბეწვი; ნართი და ქსოვილი ცხენის მუისაგან** | |
| 5101, 5102 | მატყლი და ცხოველების ბეწვი წმინდა და უხეში, კარდ- ან სავარცხნდაუჩეჩავი |
| 5103 | ნარჩენები მატყლისა ან ცხოველების წმინდა ან უხეში ბეწვისა, დართვის ნარჩენების ჩათვლით, მაგრამ გაწეწილი ნედლეულის გამოკლებით |
| **ჯგუფი 52. ბამბა** | |
| 5201 00 | ბამბის ბოჭკო, კარდ- ან სავარცხნდაუჩეჩავი |
| 5202 | ბამბის ბოჭკოს ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით) |
| 5203 00 000 00 | ბამბის ბოჭკო, კარდ- ან სავარცხნნაჩეჩი |
| **ჯგუფი 53. დანარჩენი მცენარეული ტაქსტილის ბოჭკო; ქაღალდის ნართი და ქაღალდის ნართის ქსოვილები** | |
| 5301 | ნედლი სელი ან სელი დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; სელის ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით) |
| 5302 | ქ ერელო (*Cannabis Sativa L.* ), ნედლი ან დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; ქერქლის ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით) |
| 5303-დან | ჯუთის ბოჭკო, დაურთავი; ამ ბოჭკოს ანაჩეჩები ან ნარჩენები |
| 5304 | სიზალის ბოჭკო და *A gave*-ს გვარის მცენარეების ტექსტილის სხვა ბოჭკოები, ნედლი ან დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; ამ ბოჭკოების ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით) |
| 5305 | ბოჭკო ქოქოსის კაკლის, აბაკის (მანილს ქერელო, *M usa texstils Nee*), რამისა და ტექსტილის სხვა მცენარეული ბოჭკოები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი, ნედლი ან დამუშავებული, მაგრამ დაურთავი; ამ ბოჭკოების ანაჩეჩები და ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით |
| **ჯგუფი 96. სხვა მზა ნაწარმი** | |
| 9603 10 000 00-დან | ცოცხები და ჯაგრისები, ტოტებისაგან ან ერთად შეკრული სხვა მცენარეული მასალისაგან შედგენილი |
| **ჯგუფი 97. ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი** | |
| 9705 00 000 00-დან | კოლექციები და საკოლექციო ნივთები ზოოლოგიაში, ბოტანიკაში |
| კოდის გარეშე | ნიადაგი ნებისმიერი სახით |
| კოდის გარეშე | ჯუთის ტომრები (სასაქონლო პარტიები) |
| კოდის გარეშე | ღრმული მინერალები და გრუნტები |
| კოდის გარეშე | ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება |
| კოდის გარეშე | ზღვის, მდინარის, ტბის ფსკერის გრუნტები მდინარისა და ზღვის ქვიშა |

| | |
|---|---|
| კოდის გარეშე | ცოცხალი მწერები სამეცნიერო მიზნებისათვის |
| კოდის გარეშე | ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების ცოცხალი კულტურები, ცოცხალი ტკიპები და ნემატოდები სამეცნიერო მიზნებისათვის |

**შენიშვნა:**

ტერმინი ,,გაცივებული“ ნიშნავს, რომ პროდუქტის ტემპერატურა დაწეულია თითქმის 0°C-მდე მისი გაყინვის გარეშე. თუმცა ზოგიერთი პროდუქტი, როგორიცაა კარტოფილი, ნესვი, ზოგიერთი ციტრუსი, შეიძლება ჩაითვალოს გაცივებულად, როდესაც მათი ტემპერატურა დაწეულია და ნარჩუნდება +10°C-ის დონეზე.

სეს ესნ – საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა.